საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 2 21 0000616038

22/06/2021

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1.„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო)სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “ან„ არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5 აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 2 - ე და მე - 5 პუნქტების შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, ცენტრის წინაშე იშუამდგომლოს აკრედიტაციის პირობების გეგმიური/არაგეგმიური მონიტორინგის თაობაზე. ასევე, აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 26 - ე პუნქტის მიხედვით, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე ცენტრისათვის შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, საბჭო განსაზღვრავს მონიტორინგის განხორციელების პერიოდს, მონიტორინგის განხორციელების ფორმას და მონიტორინგის ფარგლებს. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ცენტრი აკონტროლებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულებას.

1.6. აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2020 წლის 28 დეკემბრის №1235155 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №1238564, 29/12/2020), წარმოდგენილ იქნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი ,,პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 04 თებერვლის N60808 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 29 მაისის №315477 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა 2021 წლის 07, 08 და 12 აპრილს, ხოლო 2021 წლის 02 ივნისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		•		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			•	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		•		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		•		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		•		

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 08 ივნისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, პირველი სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ასევე მე - 2 სტანდარტი, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ამოიღო/გადაიტანა რჩევებში, ასევე რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის მე - 2, მე - 5 პუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენითა და 1 წელში და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 ივნისის №612591 სხდომის ოქმის № 4 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები
4.1. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის.
4.2. მოდერნიზდეს #2 და #3 სწავლის შედეგები ნათელი და მიღწევადი ფორმულირებით, რომელიც გაითვალიწინებს კვალიფიკაციების ჩარჩოს VIII საფეხურის აღმწერს.
4.3. გაუმჯობესდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებთან მიმართებაში;
4.4. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
4.5. შემუშავდეს პროგრამაზე მიღებისათვის წარმოსადგენი კვლევითი პროექტის მცირე ინსტრუქცია და/ან ნათლად გაწერილი მოთხოვნები, რომელიც იქნება საჯარო და ხელმისაწვდომი აპლიკანტებისათვის;
4.6. რეკომენდირებულია გადახედილ იქნეს პროგრამის სტრუქტურა და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედგებთან
4.7. გადამუშავდეს სასწავლო კურსები „რისკის კონტექსტები და უსაფრთხოების მენეჯმენტი“ და „უსაფრთხოების დარღვევის ფსიქოლოგიური ფაქტორები“ კურსის დასახელება, სწავლის შედეგები და შინაარსი მოდერნიზდეს სადოქტორო პროგრამისა და მერვე საფეხურის აღმწერის შესაბამისად. კურსში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს რისკის ანალიზს, რომელიც შეასწავლის დოქტორანტს რისკის შეფასებას, მართვას და კომუნიკაციას;
4.8. გადამუშავდეს სასწავლო კურსი „სიცოცხლის უსაფრთხოება“ კურსის მიზნების, სწავლის შედეგების და შინაარსის რევიზირებით, პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დეტალური სფეროს აღწერის გათვალისწინებით. ამ კურსის ფარგლებში შეუძლებელია სტუდენტმა შეძლოს სამაშველო სამუშაოების წარმოების ორგანიზაცია და ავარიების ლიკვიდაციის ხელმძღვანელობა (კურსის მიზნები), ასევე კომისიების და მაშველთა სისტემების ორგანიზება, მართვა და კონტროლი;
4.9. გადამუშავდეს სასწავლო კურსი „სიცოცხლის უსაფრთხოება“, სწავლის შედეგები წარმოდგეს კომპლექსური ფორმულირებითა და რეალურად მიღწევადობის მიმართებით, სასწავლო კურსის შინაარსთან კავშირში;
4.10. გადამუშავდეს სასწავლო კურსი „ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები პროფესიულ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის პოლიტიკაში“ მისი შინაარსისა და სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფით, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების სადოქტორო პროგრამის შესაბამისი დონით სწავლება.
4.11. განახლდეს სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა ინგლისურენოვანი თანამედროვე ლიტერატურით
4.12. შემუშავდეს და პროგრამის განუყოფელ ნაწილად წარმოდგეს სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია, სადაც წარმოდგენილი იქნება კვლევითი კომპონენტის უფრო დაწვრილებითი აღწერა, რაც გაზრდის დაინტერესებული პირების ინფორმირებულობას.
4.13. გაძლიერდეს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განმავითარებელი აქტივობები პროგრამის დარგობრივი სასწავლო კურსების ფორმატის ფარგლებში;
4.14. რეკომენდირებულია სადოქტორო ნაშრომებში გამოყენებული ლიტერატურა ასახავდეს დარგის უახლეს მიღწევებს.

4.15. სასწავლო კურსები გადამუშავდეს შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების სადოქტორო საფეხურის სწავლის შედეგების (მაგ. სტუდენტის მიერ ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირება, კრიტიკული ანალიზი, სინთეზი, შეფასება და სხვა) გათვალისწინებით და შესაბამისი კომპლექსური დავალებების შესრულების მოთხოვნების (ვადები, ფორმა, შინაარსი, სტანდარტი და სხვა) ასახვის გზით;
4.16. გატარდეს კომპლექსური ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტების კონსულტირებას ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების, კვლევის პროცესში საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენების, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესებში;
4.17. ფაკულტეტის სამოქმედო გეგმაში აისახოს კონკრეტული ამოცანები პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეტაპობრივი გაუმჯობესებისათვის, რაც შემდგომში რეალიზდება და შეფასება PDCA-ციკლის გამოყენებით;
4.18. მოხდეს ფინანსების გამოყოფა ფაკულტეტის სამოქმედო გეგმით დასახული იმ ამოცანების მიხედვით, რომელიც მიმართულია პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციების გაუმჯობესებისაკენ;
4.19. გაუმჯობესდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გეგმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემუშავებული მეთოდოლოგიისა და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით;
4.20. გაუმჯობესდეს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, პერსონალის გამოკითხვის კითხვარები. საჭიროა კითხვარები ისე იყოს შედგენილი, რომ იძლეოდეს რესპოდენტის რეალურ განწყობისა და მოსაზრებების დაფიქსირების საშუალებას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ადექვატური, რელევანტური და ვალიდური კვლევა და ანალიზის შედეგები. ასევე წარმოდგენილ კვლევებში აუცილებელია მიეთითოს კვლევის ჩამტარებელი სამსახური და პირები, კვლევის ჩატარების დრო და პერიოდი.

რჩევები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება დაეყრდნოს ანალოგი პროგრამების გამოცდილების გაზიარებასა და საფუძვლიან ანალიზს, მათ შორის სასწავლო კურსების დასახელებების ფორმირების მხრივ.
2. შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მრავალმხრივად გამოიყენებს სტუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერ მექანიზმებს;
3. პროგრამის სასწავლო კურსებში უფრო მეტი სიხშირით, ეფექტურად და ეფექტიანად იქნას გამოყენებული სწავლების თანამედროვე მიდგომები - შემთხვევის განხილვა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება;
4. განხორციელდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის სხვადასხვა ღონისძიებები (მათ შორის ტრენინგები, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრები) საერთაშორისო ბაზებში მათი ინტეგრირების, კვლევით პროექტებში ჩართვისა და პუბლიკაციების გამოქვეყნების შესაძლებლობის გაზრდის მიზნით;
5. შემუშავდეს მწყობრი გეგმა გასაუმჯობესებელი მხარის „უცხოელი პროფესორების ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში (მათ შორის უკუკავშირის, რჩევების მიღების თვალსაზრისით)“ აქტივობებისათვის, რომელშიც გამოყენებული იქნება სტუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაციის 11 პოლიტიკის მხარდამჭერი მექანიზმები და რომლის შესრულება შეფასდება PDCAციკლის გამოყენებით;

6. დაიგეგმოს და განხორციელდეს პერსონალის ინგლისური ენის შემსწავლელი მრავალფეროვანი აქტივობები, მათ შორის ახალგაზრდა კადრების მხარდაჭერისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებები, განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამის იმ კურსდამთავრებულებისათვის, რომლებიც დარგობრივ დეპარტამენტზე მუშაობენ;
7. პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართული პირებისათვის უზრუნველყავით ანალიზის თანამედროვე მიდგომების გაზიარება, რაც გააუმჯობესებს თითოეული სტანდარტის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირების პროცესს;
8. სტუდენტების პრაქტიკული უნარებისა და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებისათვის გამოიყენეთ როგორც უცხოელი პროფესურისა და მკვლევარების მოწვევა, ისე სხვადასხვა სფეროს ე.წ. „გესთსპიკერების“ მოწვევა, როგორც წარმოებისა და ბიზნესის, ასევე საჯარო სამსახურების მხრიდან;
9. პროგრამის განხორციელებაში კარგი პრაქტიკაა, როცა სტუდენტებს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელად ჰყავს გამოცდილი ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისა და პუბლიკაციების გამოქვეყნების გამოცდილება. ამ შემთხვევაში, სასურველია უნივერსიტეტის (მათ შორის კვლევითი ინსტიტუტების) ადამიანური რესურსების კონსოლიდაცია;
10. რჩევაა, რომ პროგრამის განვითარებისათვის დაწესებულებამ გამოიყენოს კომპლექსური მიდგომები, რისთვისაც საუკეთესო გადაწყვეტილებები გადის უნივერსიტეტის კვლევითი ინფრასტრუქტურის (კვლევითი ინსტიტუტების) და სხვა ფაკულტეტების შესაძლებლობების კლასტერულ ჭრილში გამოყენებაზე.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადა 1 წელი (2022 წლის 08 ივნისამდე);
5.1. მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა 1 წელი და 6 თვე წელი (2022 წლის 8 დეკემბრამდე)
6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 08 ივნისს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ